

ანგარიში

2016 წლის 16 სექტემბრიდან 2016 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენების (მათ შორის ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების) შესახებ

1. საშინაო პოლიტიკა (1-8)
2. საგარეო პოლიტიკა (8-12)
3. ეკონომიკა (12)
4. ადამიანის უფლებები (12-15)
5. ეკოლოგია (15)
6. პასპორტიზაცია (15-16)

1. „აფხაზეთის შეიარაღებული ძალების მომზადების დონე შეაჯამეს“

დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. შეიარაღებული ძალების სამინისტროში, 2016 წლის პერიოდში, საჯარისო შენაერთების მომზადების დონე შეაფასეს და მომდევნო პერიოდში შესასრულებელი ამოცანები დასახეს.

შედეგების შეჯამებისას აღინიშნა, რომ მიმდინარე წელს ჩატარებული სამხედრო წვრთნები რამოდენიმე ეტაპად ჩატარდა. კერძოდ, საჯარისო შენაერთების საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანა, სამხედრო ნაწილების ტერიტორიების დაცვის ორგანიზება და თავდაცვითი ბრძოლების წარმოება. დეფაქტო აფხაზეთის შეიარაღებული ძალების ე.წ. გენერალური შტაბის უფროსის, ანატოლი ხრულიოვის, თქმით ზამთრის და ზაფხულის სამხედრო სწავლებები დაიწყო პირადი შემადგენლობის საბრძოლო მზადყოფნის ტაქტიკის შემუშავებით, განგამის დროს მოქმედების დახვეწით და ა.შ. დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. შეიარაღებული ძალების მინისტრმა, მირაბ ქიშმარიამ, სწავლებების დროს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის ბრძანება გასცა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უცხოეთში უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში აფხაზი სტუდენტების სწავლების ხარისხს.

19.10.2016 [апсныпресс http://www.apsnypress.info/news/podvedeny-itogi-podgotovki-vooruzhennykh-sil-ra](http://www.apsnypress.info/news/podvedeny-itogi-podgotovki-vooruzhennykh-sil-ra)

2. „აფხაზეთში ვლადისლავ სურკოვის მიმოწერის შესწავლა მიმდინარეობს“

ბოლო რამდენიმე დღეა, დეფაქტო აფხაზეთში აქტიურად განიხილავენ უკრაინელი ჰაკერების («Киберхунта») მიერ სოციალური ქსელებში გავრცელებულ საფოსტო მიმოწერებს, რომელიც ჯერ კიდევ 2014 წელს დეფაქტო აფხაზეთთან დაკავშირებულ საკითხებში რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის თანაშემწე ვლადისლავ სურკოვისა და დეფაქტო აფხაზეთის 2014 წლის ე.წ. საპრეზიდენტო კანდიდატების, რაულ ხაჯიმბას, ლეონიდ ძიაჰშბას და მერაბ ქიშმარიას შორის შედგა.

მოქალაქეების და პოლიტიკოსების უკმაყოფილება 2014 წლის ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე სამი კანდიდატის "საზოგადოებრივ შეთანხმებაზე" მოსკოვის რეაქციამ გამოიწვია. აღნიშნულ დოკუმენტებში რუსული მხარე კანდიდატების მიერ ხელმოწერილი შეთანხმების ორი პუნქტით განსაკუთრებით უკმაყოფილოა.

პირველი ეხება შეთანხმებას, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში ისინი ხელს არ მოაწერენ აფხაზეთის სუვერენიტეტის შემლახველ საერთაშორისო შეთანხმებებს;

მეორე პუნქტი კი - დროებითი მორატორიუმის გამოცხადებას იმ კანონის მიღებაზე, რომელიც უცხოელებს აფხაზეთში უძრავი ქონების შეძენის უფლებას აძლევს.

ამ უკმაყოფილების ადრესატი რაულ ხაჯიმბაა, რომელიც საპასუხო წერილში წერს, რომ "საზოგადოებრივ შეთანხმებას" ხელი მხოლოდ ელექტორალური მოსაზრებების გამო მოაწერა და რომ ეს შეთანხმება არ წარმოადგენს დამაბრკოლებელ გარემოებას მის მიერ საკუთარ თავზე აღებული იმ ვალდებულებების შესასრულებლად, რომელიც მანამდე შეთანხმა მოსკოვთან. ჰაკერებმა ხაჯიმბასა და სურკოვის დიალოგიც გაასაჯაროვეს, რომელიც ე.წ. აფხაზური არმიის რუსეთის შეიარაღებულ ძალებთან შერწყმასა და სამხედრო თანამშრომლობას ეხება. მიმოწერაში სურკოვი და ხაჯიმბა დეფაქტო აფხაზეთის ტერიტორიაზე ერთობლივი საპოლიციო საკოორდინაციო ცენტრის გახსნას და საზღვაო და სახმელეთო პუნქტების ერთობლივ კონტროლზე საუბრობენ. საუბარი ასევე ეხება აფხაზეთში რუსული საპენსიო სისტემის ამოქმედებას და სოციალური დახმარებების გაცემას.

27.10.2016 Эхо Кавказа <http://www.ekhokavkaza.com/a/28>

3. „პოლიტიკური პარტია «დემოკრატიული აფხაზეთი» განცხადებას ავრცელებს“

რესპუბლიკური პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული აფხაზეთი“ ოპოზიციურ ძალთა ბლოკის მიერ „საზოგადოებაში ვითარების ხელოვნურად დამაბვის მცდელობის საპასუხოდ განცხადებას ავრცელებს“

გამოქვეყნებულ განცხადებაში ვკითხულობთ:

„ბოლო დროს ოპოზიციურ ძალთა ბლოკის წარმომადგენლები შეხვედრებს მართავენ აფხაზეთის მრავალეროვან მოსახლეობასთან, სადაც გაისმის აფხაზეთის ხელისუფლების, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეების მიმართ შეურაცხმყოფელი განცხადებები. აგრეთვე, ამ შეხვედრებზე, ჟღერდება კანონიერად არჩეული პრეზიდენტის რაულ ხაჯიმბას დამხობის შეუფარავი მოწოდებები“.

განცხადების ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ 2014 წლის 27 მაისის მოვლენების შედეგად (დეფაქტო აფხაზეთში საპროტესტო აქციების შედეგად ალექსანდრე ანჟვაბის გადაგომა და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები) ე.წ. რესპუბლიკაში შეჩერდა მტრულად განწყობილი სახელმწიფოს (საქართველოს) მოქალაქეების პასპორტიზაცია და მაშინდელმა პრეზიდენტობის კანდიდატმა და ახლა ოპოზიციურ ძალთა ბლოკის ლიდერმა, ასლან ბჟანიამ ცნო არჩევნების შედეგები.

08.11.2016 [Апсныпрессhttp://www.apsnypress.info/news/rpp-demokraticeskaya-abkhaziya-prizvala-mnogonatsionalny-narod-abkhazii-ne-stanovitsya-instrumento](http://www.apsnypress.info/news/rpp-demokraticeskaya-abkhaziya-prizvala-mnogonatsionalny-narod-abkhazii-ne-stanovitsya-instrumento)

4. „აფხაზური ოპოზიციის სოჭში ასლან ბჟანიას დაკავების შესახებ იუწყება“

აფხაზეთის ოპოზიციური პარტია „ამცახარას“ ცნობით ოპოზიციური ძალების ბლოკის ერთ-ერთი ლიდერი ასლან ბჟანია, რომელიც სოხუმში ბრუნდებოდა, სოჭში დაპატიმრეს. პარტიის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ბჟანია ე.წ. რუსეთ-აფხაზეთის საზღვარზე საპასპორტო კონტროლის დროს დააკავეს.

პარტიის მტკიცებით, რუსეთის სამართალდამცავი ორგანოები ჯერ კიდევ მანამდე ეძებდნენ გამოგონილ საბაზს მის დასაკავებლად. „ამცახარაში“ მიაჩნიათ, რომ ამ დაკავების უკან დე ფაქტო ხელისუფლება დგას. რუს სამართალდამცველებს ბჟანიას დაკავების შესახებ კომენტარი ჯერ არ გაუკეთებიათ.

ასლან ბჟანია ადრე აფხაზეთის უშიშროების სამსახურს ხელმძღვანელობდა. 2014 წელს კენჭს იყრიდა ე.წ. პრეზიდენტის პოსტზე. თუმცა, რაულ ხაჯიმბას გამარჯვების შემდეგ ოპოზიციურ ბლოკში გაერთიანდა.

04.12.2016 APCHY.ru <http://m.apsny.ru/news/?ID=25867>

5. „VII რუსულ-აფხაზეთი საქმიანი ფორუმი“

15 ნოემბერს, ე. სოხუმში, რიგით მე-7 საქმიანი ფორუმი ჩატარდა. შეხვედრა დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტმა გახსნა. რაულ ხაჯიმბამ მისასალმებელი სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა;

„აფხაზეთის ეკონომიკამ დაამტკიცა რომ, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პერიოდშიც კი, მას შეუძლია განვითარება, ამის მაგალითია აფხაზეთის ბიუჯეტის 2015 წელთან შედარებით 30%-ით და 2014 წელთან 50%-ით ზრდა“

რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე ციბულსკიმ, რომელიც აგრეთვე ესწრებოდა ფორუმს, სიტყვით გამოსვლისას განაცხადა:

„რუსეთსა და აფხაზეთს შორის, 2016 წლის იანვრიდან აგვისტომდე პერიოდში, სასაქონლო ბრუნვამ 162 მლნ. რუბლი შეადგინა. აფხაზეთის ტერიტორიაზე 190 კომპანიაა დარეგისტრირებული 100%-იანი რუსული კაპიტალით და 407 რუსულ-აფხაზეთი ერთობლივი საწარმო“

ფორუმზე განიხილეს ისეთი საკითხები, როგორცაა ორმხრივი თანამშრომლობა ტურიზმის, სოფლის მეურნეობის და ენერჯეტიკის სფეროში. აგრეთვე, იმსჯელეს დეფაქტო აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასთან დაკავშირებულ თემებზე.

16.11.2016 Sputnik Абхазия <http://sputnik-abkhazia.ru/video/20161115/1019874384/cybulskij-rasskazal--orazvitii-dvustoronnij-otnoshenij-abxazii-i-rossii.html>

6. „აფხაზეთის სუვერენიტეტის ფარგლები“

დეფაქტო აფხაზეთში, მრგვალი მაგიდა „სუვერენიტეტის ფარგლები“-ს ექსპერტების დისკუსიები გაიმართა. შეხვედრას, რომლის თემაც იყო-„აფხაზეთის სუვერენიტეტის საფრთხეები“ და „შესაძლებელია თუ არა, თანამედროვე მსოფლიოში, ქვეყნის აბსოლუტური დამოუკიდებლობა“, ესწრებოდნენ დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტთან არსებული სტრატეგიულ კვლევათა ცენტრის დირექტორი ოლეგ დამენია, იურისტი თამაზ ქეცბა და „ჩერნომორენერგო“-ს გენერალური დირექტორი ასლან ბასარია.

მრგვალი მაგიდა „სუვერენიტეტის ფარგლები“-ს დისკუსიების წამყვანმა, იბრაგიმ ჭკადუამ, შეხვედრის გახსნისას აღნიშნა, რომ საზოგადოებაში კარგა ხანია მწვავე კამათი მიმდინარეობს საკითხებზე, რომლებიც ზემოქმედებენ დეფაქტო აფხაზეთის სუვერენიტეტზე. მაგალითისთვის

წამყვანმა მოიყვანა ისეთი თემები, როგორცაა-რუსეთთან ერთობლივი საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრის (ИКИЦ) შექმნა, რუსეთთან სამხედრო თანამშრომლობის შეთანხმების რატიფიცირება, უძრავი ქონების, მოქალაქეობის მიღებისა და იარაღის შესახებ კანონი.

დისკუსიის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ თანამედროვე მსოფლიოში აბსოლუტურად დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა შეუძლებელია, მითუმეტეს ისეთი ე.წ. რესპუბლიკის, როგორცაა დეფაქტო აფხაზეთი, რომელიც ერთი მხრივ მტრულ სახელმწიფოს (საქართველოს) ესაზღვრება, მეორე მხრივ კი სტრატეგიულ პარტნიორს-რუსეთს. ექსპერტების აზრით, ამ გარემოებების გათვალისწინებით, საზოგადოების შიში, რომ რუსეთთან დადებული ხელშეკრულებებით ე.წ. სახელმწიფოს სუვერენიტეტი იზღუდება, უსაფუძვლოა.

08.11.2016 ApsnyLIFEhttp://www.apsnylife.ru/novosti/109-novosti/796-granitsy-suvereniteta-abkhazii

7. „სოხუმი საბაჰ აფხაზეთის გამოცემასთან დაკავშირებით თბილისის რეაქციით უკმაყოფილოა“

აფხაზური მხარე ჟენევის მორიგ დისკუსიებზე გეგმავს თანათავმჯდომარეებს მიმართოს მოთხოვნით:

„ობიექტური შეფასება მიეცეს თბილისის მიერ სოხუმის მიმართ გატარებულ დისკრიმინაციულ პოლიტიკას და საერთაშორისო შუამავლების მხრიდან, მიღებულ იქნას ქართულ მხარეზე ზემოქმედების ზომები, რათა მომავალში მსგავსი პრაქტიკა არ განმეორდეს“.

თურქეთში აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის წარმომადგენლობის უფროსის, ინარ გიცბას ინფორმაციით, 10 ნოემბერს თურქეთში 36 ათასიანი ტირაჟით გამოცემულ 12 გვერდიან დანართში აღწერილია აფხაზეთის რესპუბლიკის საზოგადოებრივ - პოლიტიკური და კულტურული ცხოვრება, ტურისტული სფერო, ქვეყანაში აფხაზური დიასპორის მოღვაწეობა და ეს არ შეიძლება იყოს ქართული მხარის მსგავსი რეაქციის მიზეზი.

15.11.2016Аиааираhttp://aiaaira.com/news/politics/gazetnyy_vkladysh_ob_abkhazii_vyzval_skandal_mezhdu_gruziey_i_turtsiey/

8. „აფხაზეთის საგარეო უწყების პასუხი კალაშნიკოვის განცხადებაზე“

ოკუპირებული აფხაზეთის დეფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის ლეონიდ კალაშნიკოვის განცხადებას ეხმაურება: "РИА Новости"-სთან ინტერვიუში სათათბიროს დეპუტატმა ლეონიდ კალაშნიკოვმა განაცხადა იმის შესახებ, რომ მოლდოვის ტერიტორიული საკითხის გადაწყვეტა შესაძლოა უკრაინისა და საქართველოსთვის მაგალითად გამოდგეს.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ მსგავსი განცხადების გაკეთება მხოლოდ ისეთ ადამიანს შეეძლო, რომელიც ისტორიას ცუდად იცნობს და ვერც აღნიშნული კონფლიქტების პოლიტიკურ რეალობებში ერკვევა. აფხაზი ხალხი დიდი ხნის განმავლობაში იბრძოდა თავისი ეთნიკური გადარჩენისთვის, რომლის მიღწევაც მხოლოდ სუვერენული სახელმწიფოს გფარგლებში იყო შესაძლებელი. 1993 წელს სისხლიან ომში უზარმაზარი მსხვერპლის ფასად მოიპოვა უფლება დამოუკიდებელი სახელმწიფო შეექმნა. ახალი სახელმწიფოს შექმნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა 1994 წელს აფხაზეთის პარლამენტის მიერ კონსტიტუციის მიღება, რომლის მიხედვითაც აფხაზეთი წარმოადგენს სუვერენულ დამოუკიდებელ სახელმწიფოს, საერთაშორისო სამართლის სუბიექტს. კონსტიტუციამ საერთო სახალხო მხარდაჭერა მოიპოვა 1999 წელს ჩატარებულ რეფერენდუმზე. რამაც წერტილი დაუსვა საქართველოსთან „საერთო სახელმწიფოს“ შესაძლო შექმნის შესახებ დისკუსიას. რუსეთის ფედერაციის მიერ 2008 წელს აფხაზეთის

დამოუკიდებლობის ცნობამ ამ სუვერენულ სტატუსს ლეგიტიმაცია შესძინა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ფედერაციის უმაღლესმა ხელისუფლებმა ვლადიმერ პუტინმა და დიმიტრი მედვედევმა არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობის გადაწყვეტილება არ ექვემდებარება განხილვას და არ გააჩნია უკუქცევითი ძალა.

17.11.2016 МИД РА <http://mfaapsny.org/news/index.php?ID=4701>

9. „აფხაზეთის სომეხთა კავშირის განცხადება“

რუსეთის ჯავახკის დიასპორის მიმართვა აფხაზეთის შიდა საქმეებში ჩარევას, – ასეთ განცხადებას აქვეყნებს აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის „სომეხთა კავშირი“.

განცხადებაში ნათქვამია, რომ 2016 წლის 5 დეკემბერს რიგ საინფორმაციო პორტალებზე გამოქვეყნდა რუსეთის „ჯავახკის“ დიასპორის თავმჯდომარის, აგასი არაბიანის მიმართვა, სადაც აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ოპოზიციას და არასამთავრობოებს ბრიტანული სპეცსამსახურების მიერ დაფინანსების მიღებაში ადანაშაულებს. ამასთან, როგორც არაბიანი ამბობს, აფხაზეთში ეს ფული არასამთავრობო ორგანიზაციების „შერიგების რესურსები“, „ჰუმანიტარული პროგრამების ცენტრი“ საშუალებით ხვდება. არაბიანის განცხადებითვე, აღნიშნული ინფორმაცია აფხაზეთის სომეხური სათვისტომოს ავტორიტეტულმა წარმომადგენლებმა მიაწოდეს.

„სომეხთა კავშირი“ აფხაზეთში აცხადებს, რომ აღნიშნული შემთხვევა პირველი არაა, როდესაც რუსეთის „ჯავახკი“ აფხაზეთში ეთნიკური ჯგუფების დაპირისპირების მიზნით ცრუ ინფორმაციას ავრცელებს – „მანამდე „ჯავახკმა“ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სომეხთა კავშირი აფხაზეთში თითქოს ავტონომიას ითხოვს“

06.12.2016r06.12.2016r <http://abkhazia24.org/>

10. „აფხაზეთში ნიღბიანი ადამიანების გამოჩენსთან დაკავშირებით განმარტებები გააკეთეს“

დე ფაქტო აფხაზეთის „სახელმწიფო ავტონისპექციის (ГАИ) თანამშრომლებთან ერთად ბოლო დროს, საგუშაგოებზე კომუფლირებულ ფორმებში ჩაცმული, ნიღბიანი ადამიანები გამოჩნდნენ.

აფხაზური მედიის ინფორმაციით, ამასთან დაკავშირებით, დღეს „შსს - ს ოფიციალურ ვებ გვერდზე გამოქვეყნდა განცხადება, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, შსს- ს ცენტრალური აპარატი და სახელმწიფო ავტონისპექცია, ერთობლივად ახორციელებენ რეიდებსა და პროფილაქტიკურ ღონისძიებებს“.

08.12.2016

Апсныпресс <http://apsnypress.info/news/mvd-abkhazii-provodit-reydovye-i-profilakticheskie-meropriyatiya/>

11. „რაულ ხაჯიმბა საზოგადოებრივი პალატის ახალ შემადგენლობას შეხვდა“

დე ფაქტო აფხაზეთი პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა საზოგადოებრივი პალატის წარმომადგენლებს შეხვდა. საზოგადოებრივი პალატის ამოცანათა შორის, მან სხვადასხვა კანონპროექტის რეალური ექსპერტიზის ჩატარებაზე გაამახვილა ყურადღება. "მთავარია, რომ ხალხმა იცოდეს, რომ საზოგადოებრივი პალატა სწორედ ის ორგანოა, რომელიც კანონების არსს მიაწვდის მათ", - თქვა ხაჯიმბამ.

გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი პალატა მოქალაქეებსა და ხელისუფლებას შორის დიალოგის ასპარეზად უნდა იქცეს. "ოპოზიციასა და მთავრობას შორის შესაბამისი დოკუმენტის ხელმოწერის მცდელობამ ჯერ შედეგი ვერ გამოიღო, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი დაკარგულია".

თავის მხრივ, საზოგადოებრივი პალატის ხელმძღვანელმა ნათელა აკაბამ განაცხადა, რომ ისინი მზად არიან ყველა ღონე იხმარონ, ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობების დასარეგულირებლად.

დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტის თქმით:

"პარლამენტის მიერ შემუშავებული დოკუმენტი, რომელიც ხელისუფლებასა და პოლიტიკური ძალებს შორის დიალოგისკენაა მიმართული, ყველამ უნდა მიიღოს! არანაირ პირობებზე, როგორც სახელმწიფოს ხელმძღვანელი, მე არ წავაღ! ხელისუფლება, არა მხოლოდ უნდა დაეთანხმოს რაღაცას, არამედ, რეაგირება უნდა მოახდინოს ყველა დარღვევაზე, რომელიც თავს იჩენს".

08.12.2016aiashara <http://www.aiashara.com/single-post/2016/12/07/>

12. „ამცახარას“ VII ყრილობა“

2016 წლის ნოემბრის ბოლოსა და დეკემბრის დასაწყისში, დე-ფაქტო აფხაზეთში, ე.წ. პრეზიდენტის ვიზიტს მოსკოვში წინ უძღოდა ე.წ. ოპოზიციური ძალების გააქტიურება. კერძოდ, 30 ნოემბერს ქ. სოხუმში პოლიტიკური პარტია „ამცახარას“ VII ყრილობა ჩატარდა.

ყრილობის მონაწილეებმა განიხილეს დეფაქტო რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, რომელიც მათი აზრით კრიზისულია.

ე.წ. პოლიტიკური პარტია „ამცახარას“ პოლიტსაბჭოს თავმჯდომარის, ალხას კვიცინიას განცხადებით:

„პოლიტიკური პარტია „ამცახარა“ და „ოპოზიციურ ძალთა ბლოკი“ გამოდიან მოთხოვნით გადადგეს პრეზიდენტი, რათა გადარჩეს აფხაზეთის სახელმწიფოებრიობა. დაშვებული უხეში შეცდომები, რომელთაც ჩვენ კატასტროფულს ვუწოდებთ, მოითხოვს ხელისუფლების შეცვლას. თუ ხაჯიმბას რეჟიმი 2019 წლამდე შენარჩუნდება რესპუბლიკაში გამოუსწორებელი პროცესები განვითარდება“

აგრეთვე, ყრილობაზე სიტყვით გამოვიდნენ ოპოზიციურ ძალთა ბლოკში შემავალი-საზოგადოებრივი ორგანიზაციის „ქალები პოლიტიკაში“ ხელმძღვანელი ირინა აგრბა, საზოგადოებრივი ორგანიზაციის „კიარაზა“ ხელმძღვანელი დიმიტრი დბარი, ოპოზიციურ ძალთა ბლოკის თანათავმჯდომარე ასლან ბჟანია, მოძრაობა „აფხაზეთის დედები მშვიდობისა და სოციალური სამართლიანობისთვის“ სოხუმის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ფირუზა კაპბა და სხვები.

ყრილობის შედეგად მიღებულ იქნა რეზოლუცია სადაც ვკითხულობთ:

„აფხაზეთის რესპუბლიკის მოქმედ პრეზიდენტს არ სურს ეროვნული თანხმობის მიღწევა და სახელმწიფოებრიობის განვითარება. მოვითხოვთ რაულ ხაჯიმბა გადადგეს და აფხაზეთის რესპუბლიკის სახალხო კრებამ (პარლამენტმა) დანიშნოს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები. თუ რაულ ხაჯიმბა არ მოისმენს ჩვენს მოთხოვნას და ნებაყოფლობით არ გადადგება აფხაზეთის პრეზიდენტის პოსტიდან, ჩვენ მოვიწვევთ სახალხო შეკრებას, რომელიც შედგება 2016 წლის 15 დეკემბერს ქლაქ სოხუმში“.

30.11.2016Аьхазия-информ

<http://abkhazinform.com/item/4960-esli-raul-khadzhimba-ne-primet-reshenie-odosrochnoj-dobrovolnoj-otstavke-s-posta-prezidenta-blok-oppozitsionnykh-sil-15-dekabrya-provedet-narodnyj-skhod>

13. „რაულ ხაჯიმბას მხრდამჭერთა მიტინგი“

„ამცახარას“ ყრილობის პარალელურად, სოხუმში რაულ ხაჯიმბას მხრდამჭერთა მიტინგი გაიმართა, რომლის ორგანიზატორები ვეტერანთა საზოგადოებრივი ორგანიზაცია „არუა“ და

პარტია „აფხაზეთის სახალხო ერთობის ფორუმი“ იყვნენ. მიტინგს და ფაქტო აფხაზეთის პრემიერ - მინისტრი ბესლან ბარციცი და პარლამენტის დეპუტატთა ჯგუფი ესწრებოდა.

მიტინგზე ე.წ. პარლამენტის დეპუტატმა, თემურ გულიამ, რაულ ხაჯიმბას მოუწოდა უფრო მკაცრი მეთოდების გამოყენებისაკენ სტაბილურობისა და მოქალაქეების უსაფრთხოების დასაცავად, რადგანაც მისივე განმარტებით, „მხოლოდ სტაბილურობაში და ეროვნულ თანხმობაში დევს ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გასაღები.“

მიტინგზე შეკრებილ მხარდამჭერებთან რაულ ხაჯიმბამ ისაუბრა ვლადიმერ პუტინთან განსახილველ საკითხებზე და კომენტარი გაუკეთა ე.წ. ოპოზიციის მოთხოვნას:

„მე მივდივარ მოსკოვში ჩვენი სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანეს თემებზე სასაუბროდ. პირველი-ეს არის რუსეთთან ჩვენი ვალის საკითხი. ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა ვიზრუნოთ სახელმწიფოებრიობის განვითარებაზე და ამავე დროს დავფაროთ დავალიანება, რომელმაც უკვე სამ მილიარდს გადააჭარბა. მეორე ეს არის ენერგომომარაგების საკითხი. 2018 წელს ჩვენ მოგვიწევს ენგური ჰესის დახურვა. აუცილებელია სარემონტო სამუშაოების გაწევა, რომლებიც მინიმუმ ერთ წელიწადს გაგრძელდება. საიდან უნდა ავიღოთ ამ დროს ჩვენ ენერგია? ყველამ კარგად იცის გუმისტის ხიდის საკითხი, რომლის აგებასაც დიდი თანხა ესაჭიროება. სწორედ ამ საკითხებზე სასაუბროდ მივდივარ მოსკოვში. მართალია 2014 წელს ჩატარებულ ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებზე ოპოზიციამ ჩემს კანდიდატურას არ მისცა ხმა, მაგრამ ჩემი მხარდამჭერები უფრო მეტნი იყვნენ და ამიტომ არასწორი იქნება თუ მხოლოდ ოპოზიციის აზრი იქნება გათვალისწინებული. სახელმწიფოს მეთაურს ხალხი ირჩევს და არა ცალკეული პიროვნებები, გამომდინარე საკუთარი ინტერესებიდან. თუ მთელი ხალხი შეიკრიბება და მოითხოვს, რომ წავიდე, მე -წავალ“.

(30.11.2016АИААИРАhttp://www.aiaaira.com/news/society/raul_khadzhimba_neppravilno_chtoby_tolko_oppozitsiyareshala_sudbu_prezidenta/)

14. „რაულ ხაჯიმბამ პარლამენტში არჩევნების თარიღი დაასახელა“

„აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციისა და „აფხაზეთის რესპუბლიკის სახალხო კრების დეპუტატების არჩევის შესახებ“ საკონსტიტუციო კანონის შესაბამისად, აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა პარლამენტში არჩევნების ჩატარების შესახებ განკარგულებას მოაწერა ხელი.“

არჩევნები დანიშნულია 2017 წლის 12 მარტს.

12.12.2016 ПРЕЗИДЕНТ РА http://presidentofabkhazia.org/about/info/news/?ELEMENT_ID=5426

15. „აფხაზეთის უშიშროების საბჭოს განცხადება“

დე-ფაქტო აფხაზეთის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლების განცხადებით, ისინი ფლობენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ცალკეული რადიკალურად განწყობილი ოპოზიციის მომხრეები, ძალის გამოყენებით შეეცდებიან ხელისუფლების ხელში ჩაგდებას და აფხაზი ხალხის მიერ კანონიერი გზით არჩეული პრეზიდენტის გადაყენებას.

ამავე განცხადებით, აღნიშნული განზრახვის რეალიზაციისთვის, რადიკალურად განწყობილი ოპოზიციონერები ცეცხლსასროლი იარაღის და ასაალებელი ნივთიერებების გამოყენებას გეგმავენ.

თავისი განცხადების მტიკიცებულებად, დე ფაქტო რესპუბლიკის სუსი, 2016 წლის 11 დეკემბერს, სოხუმში აღმოჩენილი იარაღისა და საბრძოლო მასალის სამარხს (8 ავტომატი АК-74, ხელის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნი ПИГ-7) მიიჩნევს. ამავე ინფორმაციით, ოპოზიციის მომხრეებმა შექმნეს საბრძოლო ჯგუფები, რომლებიც მიზნად ისახავენ „პრეზიდენტის“ ადმინისტრაციის შტურმს. გარდა ამისა, მათი თქმით, ისინი მოასახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდების მოსყიდვას ცდილობენ. მათი თქმით, ოპოზიციური ძალები ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილი გარე ძალების მიერ ფინანსდებიან.

აფხაზური მედიის ინფორმაციით, დე ფაქტო აფხაზეთის საზოგადოებრივი პალატა მოუწოდებს ორგანიზატორებს, გადადონ სახალხო კრება.

15 დეკემბერს ოპოზიციური ძალების ბლოკი და მათი მომხრეები სოხუმში მიტინგს გეგმავენ, რომელზეც მოქმედი პრეზიდენტის გადადგომას მოითხოვენ.

13.12.2016 АПСН.ру <http://m.apsny.ru/news/?ID=26109>

16. „აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში დაურ კოვესა და სემენ გრიგორიევის შეხვედრა შედგა“

17 ოქტომბერს დეფაქტო აფხაზეთის ე.წ საგარეო საქმეთა მინისტრს, დაურ კოვესა და არადიარებულ რესპუბლიკაში ე.წ. სრულყოფილებიან ელჩს, სემენ გრიგორიევს, შორის შეხვედრა შედგა.

შეხვედრაზე განიხილეს საგარეო უწყებათა შორის, მემორანდუმის ფარგლებში, გასამართი კონსულტაციებისთვის მზადების საკითხები, რომლებიც შეეხება ორი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის წარმოების მექანიზმის რეალიზაციის თემას.

17.10.2016 МИД РА <http://mfaapsny.org/news/index.php?ID=4652>

17. „აფხაზეთსა და დნესპრისპირეთის მოლდოვური რესპუბლიკას შორის შეთანხმება“

დეფაქტო აფხაზეთის და არადიარებული დნესპრისპირეთის მოლდოვური რესპუბლიკის ე.წ. საგარეო უწყების ხელმძღვანელებმა ორ სახელმწიფოთაშორის - „აფხაზეთისა და დნესპრისპირეთის მოლდოვური რესპუბლიკის მოქალაქეების უვიზო მიმოსვლის შესახებ“ და „განათლების დონის, აკადემიური ცნობების, სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტების ექვივალენტობის ცნობის შესახებ“, შეთანხმებას მოაწერეს ხელი.

ორი ე.წ. რესპუბლიკის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა, დაურ კოვემ და ვიტალი იგნატიევმა, შეთანხმებაზე ხლმოწერის ცერემონიის დაწყებამდე განაცხადეს, რომ აღნიშნული შეთანხმება დეფაქტო აფხაზეთისა და არადიარებული დნესპრისპირეთის რესპუბლიკის მოქალაქეების ცხოვრების დონის ამაღლებას შეუწყობს ხელს.

25.10.2016 Абхазия-Информ <http://abkhazinform.com/item/4771-abkhaziya-i-pmr-podpisali-dva-mezhpravitelstvenny-soglasheniya>

18. „აფხაზეთის მუფტიმ თურქეთში გამართულ ფორუმში მიიღო მონაწილეობა“

დეფაქტო აფხაზეთის მუსლიმთა ერთიანი სასულიერო სამმართველოს ე.წ. თავმჯდომარემ, სალიხ კვარაცხელიამ, ქ. სტამბოლში გამართულ ევრაზიის ისლამური კავშირის IX ფორუმში მიიღო მონაწილეობა.

ფორუმზე განიხილებოდა ისეთი თემები, როგორცაა-ისლამი ევრაზიაში, განვითარების, ისლამში რადიკალური მიმდინარეობების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში ერთობის პერსპექტივები.

სალიხ კვარაცხელიას თქმით, ფორუმის გახსნისას, რომელიც ჩატარდა, ქ. სტამბოლში მდებარე, ოსმალეთის იმპერიის სულთანების დღმამაბაჩეს სასახლეში, სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა მიმართა. აგრეთვე, ფორუმის

მონაწილეებს, რუსეთის ფედერაციის მუფტიების კავშირის თავმჯდომარე, რავილ გაინუტდინი, მიესალმა.

დეფაქტო აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ გამართულ პრეს-კონფერენციაზე სალის კვარაცხელიამ განაცხადა:

„მე მივიღე ოფიციალური მოწვევა DIYANET-ის (თურქეთის რესპუბლიკის, რელიგიის საკითხებში, სამმართველო) თავმჯდომარისგან, როგორც აფხაზეთის მუფტიმ. ეს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ნაბიჯია, რადგან DIYANET თურქეთის რესპუბლიკის პოლიტიკური ორგანოა და მას შეუძლია შუამავლის როლი ითამაშოს თურქეთის რესპუბლიკის მიერ აფხაზეთის აღიარების საქმეში.“

გამართულ ფორუმში, რომელიც 11-14 ოქტომბერს ჩატარდა დსთ-ს, დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის, სამხრეთ კავკასიის, პრიბალტიკის, აზიის, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების 100-ზე მეტმა მეცნიერ-მუშაკმა და სასულიერო პირმა მიიღო მონაწილეობა.

24.10.2016АИААИРАhttp://aiaaira.com/news/society/salikh_kvaratskheliya_diyamet_mozhet_vystupit_v_rol_i_posrednika_v_priznanii_abkhazii_turetskim_pravi/

19. „დუმამ ოკუპირებულ აფხაზეთთან ე.წ. ჯარების გაერთიანებაზე შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა“

მიმდინარე წლის 13 ოქტომბერს, რუსეთის სახელმწიფო დუმის თავდაცვის კომიტეტმა ოკუპირებულ აფხაზეთთან ე.წ. ჯარების გაერთიანებული დაჯგუფების შექმნის თაობაზე შეთანხმების რატიფიცირებას მხარი დაუჭირა.

2015 წლის 21 ნოემბერს, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა, ოკუპირებულ აფხაზეთთან ე.წ. შეთანხმებას ხელი მოეწერა. დოკუმენტის თანახმად, ჯარების გაერთიანებულ დაჯგუფებაში ოკუპირებულ ტერიტორიაზე განლაგებული რუსული სამხედრო ბაზა, ასევე ორი აფხაზეთური მოტომსროლელი ბატალიონი, საარტილერიო და საავიაციო ჯგუფები შევა.

შეთანხმების რატიფიკაციაში ასევე აღნიშნულია, რომ ის "რუსეთის შეიარაღებული გაერთიანებული ძალების მისიას, წყობასა და დანერგვას განსაზღვრავს". გარდა ამისა, მასში აღნიშნულია, რომ კომბინირებული დაჯგუფება შეიარაღებული თავდასხმის საპასუხოდაა შექმნილი.

02.11.2016В-Деталях.РФhttp://в-деталях.рф/%D0%B3%D0%BE%D1%81%D0%B4%D1%83%D0%BC%D0%B0-%D0%BE%D0%B4%D0%BE%D0%B1%D1%80%D0%B8%D0%BB%D0%B0-%D0%BE%D0%B1%D1%8A%D0%B5%D0%B4%D0%B8%D0%BD%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B5-%D0%B2%D0%BE%D0%B9%D1%81%D0%BA-%D1%80/905117/

20. „რაულ ხაჯიმბა რაშიდ ნურგალიევს შეხვდა“

სოხუმში, დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივანის მოადგილეს, რაშიდ ნურგალიევს, შეხვდა, შეხვედრაზე ე.წ. პრეზიდენტმა აღნიშნა ორ ქვეყანას შორის, უშიშროების საკითხებში, თანამშრომლობის მნიშვნელობა.

რაშიდ ნურგალიევმა რაულ ხაჯიმბას მოახსენა აფხაზ კოლეგებთან ორდღიანი მუშაობის შედეგები. კერძოდ რუსეთის უშიშროების დელეგაციამ რუსეთ-აფხაზეთის საზღვარი დაათვალიერა, სადაც განიხილეს ე.წ. საზღვრის დაცვის საკითხები.

რაშიდ ნურგალიევმა ე.წ. პრეზიდენტს დაუდასტურა, რომ ყველა დასმული ამოცანა გეგმის შესაბამისად სრულდება.

01.11.2016

<http://abhazia-news.ru/http://abhazia-news.ru/11/raul-xadzhimba-provel-vstrechu-s-rashidom-nurgalievym/>

21 „დაურ კოვე სერგეი ლავროვს შეხვდა“

მოსკოვში ვიზიტისას დეფაქტო აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, დაურ კოვე, რუსეთის ფედერაციის საგარეო უწყების ხელმძღვანელს, სერგეი ლავროვს შეხვდა.

შეხვედრაზე განიხილეს დეფაქტო აფხაზეთისა და რუსეთის თანამშრომლობის საკითხები. კერძოდ, საუბარი, იყო რუსეთის ხელშეწყობით, დეფაქტო აფხაზეთის საერთაშორისო პოზიციების გამყარებისათვის კონკრეტული ზომების რეალიზაციაზე.

აგრეთვე, შეეხნენ ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ფარგლებში, კოორდინირებული მუშაობის პრიორიტეტულ მიმართულებებს.

შეხვედრაზე, მოკავშირეობის და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ შეთანხმების მე-4 მუხლის პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით, განიხილეს რუსულ-აფხაზური სამუშაო ჯგუფის შექმნის შესაძლებლობა.

03.11.2016 МИД РА <http://mfaapsny.org/news/index.php?ID=4674>

22. „აფხაზეთის სავაჭრო პალატის ვიზიტი ანდორას სამთავროში“

დე ფაქტო აფხაზეთის სავაჭრო - სამრეწველო პალატის დელეგაცია ანდორის სამთავროს ეწვია. შეხვედრაზე ხელი მოეწერა დე ფაქტო აფხაზეთისა და ანდორის სამრეწველო პალატებს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს.

„ანდორა ჩვენთვის ძალიან საინტერესო ქვეყანაა. დაახლოებით 20 წლის განმავლობაში, სამთავრო ეკონომიურად განვითარებულ რეგიონად იქცა. 85 470 ათასიანი მოსახლეობით, ის წელიწადში 8 - 9 მილიონი ტურისტის მიღებას ახერხებს. ჩვენთვის ძალიან სასარგებლო იქნება თქვენი გამოცდილების გაზიარება“, - დოკუმენტის ხელმოწერამდე განაცხადა აფხაზური დელეგაციის ხელმძღვანელმა გენადი გაგულიამ.

აფხაზური მედიის ინფორმაციით, სოხუმის დელეგაციის ანდორის სამთავროში გამგზავრება და იქ პრეზენტაციის წარდგენა, მხარეებს შორის ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად გახდა შესაძლებელი.

01.11.2016 ТПП РА <http://www.tppra.org/ru/novost/delegaciya-tpp-ra-s-oficialnym-vizitom-posetila-andorru>

23. „მოსკოვში აფხაზეთის ეკონომიკის განვითარების გეგმაზე მუშაობენ“

მოსკოვში სოხუმისა და რუსული კონსალტინგური კომპანია „სთრათეჯი პარტნერს გრუფის“ სამუშაო ჯგუფები შეიკრიბნენ. დე ფაქტო აფხაზეთის ეკონომიკის მინისტრის განცხადებით, შეხვედრაზე „2025 წლამდე აფხაზეთის ეკონომიკის განვითარების სამოქმედო პროგრამის პირველი ეტაპი“ დასრულდა.

„ეს ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომლის გარეშე წარმოუდგენელია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის თანამიმდევრულად განვითარება... პირველად, უახლეს ისტორიაში, ჩვენ შევძლებთ გავაფართოვოთ დაგეგმარების ჰორიზონტი და შევიმუშავოთ მოქმედებების საგზაო რუკა“, - აღნიშნა ადგურ არძინბამ.

მინისტრის თქმით, სამუშაოები მოსკოვში აფხაზური დიასპორის წარმომადგენლების ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

24. „ერევანსა და სოხუმს შორის ონლაინ პრესკონფერენცია გაიმართა“

ერევანსა და სოხუმს შორის ონლაინ პრესკონფერენცია გაიმართა, რომელშიც დე ფაქტო აფხაზეთის პარლამენტარები, ჟურნალისტები და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ვიდეო-ხიდის მსვლელობისას, „აფხაზეთის სომეხთა კავშირის“ თავმჯდომარე გალუსტ ტრაპიზონიანმა აღნიშნა, რომ ადგილობრივი სომხური თემი აფხაზეთში კომფორტულად გრძნობს თავს, აქ 42 ათასი სომეხი ცხოვრობს და 26 სომხური სკოლაა გახსნილი.

დე ფაქტო აფხაზეთის პარლამენტის დეპუტატმა ლევონ გალუსტიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „სომხები რესპუბლიკის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში არიან წარმოდგენილნი. მან იმედი გამოთქვა, უახლოეს მომავალში სომხეთი აფიციალურად აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას.

26.10.2016Апсныпресс<http://www.apsnypress.info/news/levon-galustyan-rasschityvaem-chto-v-skorom-vremeni-v-chisle-stran-priznavshikh-nezavisimost-abkhazi/>

25. „მოსკოვსა და სოხუმს შორის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული დაჯგუფების შესახებ კანონი დამტკიცდა“

რუსეთის ფედერაციის საბჭომ, პლენარულ სხდომაზე, რუსეთსა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის, შეიარაღებული ძალების გაერთიანებული დაჯგუფების რატიფიცირებული შეთანხმების ფედერალური კანონი დაამტკიცა.

დოკუმენტის თანახმად, შეთანხმების რეალიზაციისთვის უფლებამოსილი ორგანოები რუსეთის და დე ფაქტო აფხაზეთის თავდაცვის სამინისტროები იქნებიან. მისი მოქმედების ვადა 2024 წლის 24 ნოემბრამდე განისაზღვრა. გაერთიანებული დაჯგუფების შემადგენლობაში, აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული რუსული სამხედრო ბაზის ჯარისკაცები შევლენ. მის მართვას, „ერთიანი სარდლობა, ორივე ქვეყნის ერთობლივად მიღებული დირექტივების საფუძველზე განახორციელებს“.

ჯარების გაერთიანების შექმნას მოსკოვსა და სოხუმს შორის 2015 წლის 21 ნოემბერს გაფორმებული „სტრატეგიული პარტნიორობისა და მოკავშირეობის შესახებ“ შეთანხმება ითვალისწინებს.

22.11.2016Гарант.Ру<http://www.garant.ru/hotlaw/federal/1014573/>

26. „პუტინის და ხაჯიმბას შეხვედრა“

რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის განცხადებით, რუსეთის ფედერაციისა და აფხაზეთის ურთიერთთანამშრომლობა ეკონომიკისა და უსაფრთხოების სფეროში ვითარდება.

ამის შესახებ პრეზიდენტმა პუტინმა მოსკოვში დე ფაქტო აფხაზეთის პრეზიდენტთან რაულ ხაჯიმბასთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, რომელზეც, აფხაზეთი მედიის ინფორმაციით, ორმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები განიხილეს.

ვლადიმერ პუტინი, აგრეთვე შეეხო დეფაქტო აფხაზეთის შიდა პოლიტიკურ ვითარებას და ხაზგასმით აღნიშნა:

„ჩვენ ვხედავთ, რომ აფხაზეთში რთული შიდა პოლიტიკური ვითარებაა. ეს ნორმალური პროცესია ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში და საზოგადოებაში. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს პროცესები კონტროლის ქვეშ წარიმართება, არ გავა სამართლებრივი ველიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენს მიერ დაგეგმილი ეკონომიკური თანამშრომლობის განხორციელება გართულდება“

თავის მხრივ, მოსკოვში ვიზიტად მყოფმა რაულ ხაჯიმბამ აღნიშნა, რომ ლიდერების ბოლო შეხვედრიდან ბევრი რამ შეიცვალა, მათ შორის, უსაფრთხოების, ეკონომიკის, სოციალური ხასიათის საკითხები.

„დღეს უკვე ფაქტიურად დაიწყო აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები რუსეთის მოქალაქეებისთვის პენსიების მომატების პროცესი. არის კიდევ შესაბამისი სამუშაოები იმ ნაწილში, რომელიც კულტურის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა ორგანოების ურთიერთქმედებას ეხება“, - აღნიშნა დე ფაქტო აფხაზეთის პრეზიდენტმა.

01.12.2016 РИА Новости <https://ria.ru/politics/20161201/1482624997.html>

27. „სოხუმი და მოსკოვი ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლებენ“

დე-ფაქტო აფხაზეთსა და რუსეთს შორის ელექტროენერჯის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას მოეწერა ხელი. „მიუხედავად იმისა, რომ საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში, რუსეთმა აფხაზეთის ენერგეტიკის სფეროში 1 მილიარდი რუბლის ინვესტიცია განახორციელა, პრობლემები ჯერაც რჩება“, - დე ფაქტო რესპუბლიკის პრემიერ - მინისტრმა ბესლან ბარციცმა.

რუსეთის წარმომადგენლის ალექსანდრე ხლოპონინის განცხადებით: „საჭიროა მოიძებნოს სქემა, რომელიც უზრუნველყოფს აფხაზეთისთვის უწყვეტი ელექტროენერჯის მიწოდებას, ამისთვის, ეს სქემა რუსეთიდან უნდა მოდიოდეს. ამის შემდეგ, უკვე ვიფიქრებთ სტრატეგიაზე - რას გავაკეთებთ, ქვესადგურების ხარჯზე დავიწყებთ ელექტროენერჯით უზრუნველყოფას თუ საკუთარ სიმძლავრეებს ავაშენებთ“.

მისი განცხადებით, ელექტროენერჯით უზრუნველყოფის საკითხზე, „რუსეთის ქსელების“ მიერ ჩატარებული ექსპერტიზის შედეგების მიხედვით, 2017 წლის პირველ კვარტალში იმსჯელებენ.

09.12.2016 РИА НОВОСТИ <https://ria.ru/world/20161209/1483260070.html>

28. „UNICEF-ის ხელმძღვანელობის ვიზიტი აფხაზეთში“

9 ნოემბერს, სოხუმში, დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტის და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ხელმძღვანელობის შეხვედრა შედგა.

შეხვედრის დაწყებისას რაულ ხაჯიმბამ აღნიშნა, რომ ე.წ. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ბავშვთა დაავადების პრობლემას და ამ საკითხებში აშკარად იგრძნობა დადებითი ტენდენციები, რაშიც უდიდესი წვლილი საერთაშორისო ორგანიზაციებს და კერძოდ UNICEF-ს მიუძღვის.

თავის მხრივ, გაეროს ბავშვთა ფონდის ხელმძღვანელობის წარმომადგენელმა, ლაილა ომარ გადმა, მადლობა გადაუხადა რაულ ხაჯიმბას შეხვედრისათვის და დაამატა:

„ეს ჩემი პირველი ვიზიტი აფხაზეთში. დღეს ჩვენ მოვინახულეთ რამოდენიმე ადგილი, გავესაუბრეთ ბევრ ადამიანს, რაც გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ დაავადებულ ბავშვთა პრობლემების გადაწყვეტის საკითხებში შეინიშნება წინსვლა“.

ლაილა ომარ გადმა შეატყობინა ე.წ. პრეზიდენტს, რომ სმენადაქვეითებულ ბავშვთა დახმარების ცენტრის გახსნას და პარალელურად სამედიცინო ტექნიკის შემოტანის პროცესს დაესწრო.

რაულ ხაჯიმბამ შეხვედრის დასრულებისას, მსგავსი პროექტების განხორციელებაში, UNICEF-ის ხელმძღვანელობას ხელშეწყობას შეპირდა.

09.11.2016 Президент РА http://presidentofabkhazia.org/about/info/news/?ELEMENT_ID=5341

29. „შეხვედრა ჟენევის დისკუსიების წარმომადგენლებთან“

10 ნოემბერს, სოხუმში, ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი, დაურ კოვე, სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის საკითხებზე მომუშავე ჟენევის დისკუსიების მონაწილეთა ჯგუფის წარმომადგენლებს, ბიორნ კუენესა და მარტა ფრიმენს შეხვდა.

შეხვედრაზე განიხილეს დეფაქტო აფხაზეთთან მიმართებაში ევროპის სავიზო პოლიტიკა და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) ფარგლებში გალის შეხვედრების მიმდინარეობა.

შეხვედრაზე დაურ კოვემ აღნიშნა, რომ სავიზო პოლიტიკა, რომელსაც ევროპის რიგი ქვეყნები აფხაზეთთან მიმართებაში ატარებენ, დისკრიმინაციულია და წინააღმდეგობაში მოდის დეკლარირებულ ევროპულ ფასეულობებთან.

შეხვედრის მიმდინარეობისას აგრეთვე განიხილეს 2016 წლის 13-14 დეკემბერს და. გეგმილი ჟენევის დისკუსიების დღის წესრიგი.

11.11.2016 МИД РА <http://mfaapsny.org/news/index.php?ID=4690>

30. „დრანდის საპატიმროში ტუბერკულოზით დაავადებულთა რიცხვი არ გაზრდილა“

მოსახლეობის საყოველთაო დისპანსერიზაციის ფარგლებში, დრანდის დროებითი მოთავსების იზოლატორის პატიმრებს სამედიცინო კვლევები ჩაუტარდათ. ფილტვის დაავადებათა დიაგნოსტიკური შემოწმება პენეტენციალურ დაწესებულებაში 300 - ზე მეტმა ადამიანმა გაიარა. დე ფაქტო აფხაზეთის მთავარი რენტგენოლოგის, ასლან ბერზენიას, განცხადებით, კვლევების შედეგები დამაკამყოფილებელია. მისი თქმით:

"ტუბერკულოზით დაავადების ახალი შემთხვევები პრაქტიკულად არ დაფიქსირებულა. არის რამდენიმე ადამიანი, რომელიც უკვე რამდენიმე წელია კოხის ჩხირით არის დაინფიცირებული და ჩვენ თვალს ვადევნებთ მათი ავადმყოფობის მსვლელობას"

14.11.2016 Abkhazinform.com <http://123ru.net/smi/abkhazinform-com/76403566/>

31. „რაულ ხაჯიმბამ ჟენევის დისკუსიების თანათავმჯდომარეები მიიღო“

23 ნოემბერს დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტმა ამიერკავკასიაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის საკითხებზე ჟენევის დისკუსიების თანათავმჯდომარეებთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრას ესწრებოდნენ-ევროსაბჭოს სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში ჰერბერტ ზალბერი, გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენელი ჟენევის მოლაპარაკებებში ანტი ტურუნენი და ეუთო-ს სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში, ჯენევის დისკუსიების მომავალი თანათავმჯდომარე გიუნტერ ბეხლერი.

შესავალი სიტყვით გამოსვლისას რაულ ხაჯიმბამ ხაზი გაუსვა განსახილველი საკითხების მნიშვნელობას.

თავის მხრივ ჰერბერტ ზალბერმა განაცხადა, რომ მათი ვიზიტის მიზანია დაგეგმილი 39-ე რაუნდის ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. ჟენევის დისკუსიების თანათავმჯდომარემ დაამატა:

„მომდინარე წელს ჩვენ გადავდგით რამოდენიმე პოზიტიური ნაბიჯი. კერძოდ, ოთხწლიანი პაუზის შემდეგ აღვადგინეთ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) ფარგლებში გალის შეხვედრები, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ უკვე ჩავატარეთ 3-4 შეხვედრა, რომლებმაც აჩვენეს, რომ შესაძლებელია ძალიან მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა“.

ჰერბერტ ზალბერმა ჟენევის მოლაპარაკებების მიმდინარეობა შეაფასა როგორც სტაბილური, რაზეც რაულ ხაჯიმბამ უპასუხა;

„რაც შეეხება სტაბილურობას, ის მიიღწევა მხოლოდ პროცესში მონაწილე ყველა მხარის ერთობლივი მუშაობით. სასურველია აფხაზურ მხარესთან მიმართებაში, ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, ვიხილოთ დადებითი ტენდენციები“

ე.წ. პრეზიდენტმა დაამატა:

„რამოდენიმე ხნის წინ ჩვენ ვაგზავნიდით დელეგაციას ბუნდესტაგში, მათი მიწვევით, მაგრამ ჩვენს დეპუტატებს, საქართველოს მოტხოვნის საფუძველზე ვიზიტი არ მიცეს და ეს პირველი შემთხვევა არ არის. მსგავსი პრობლემები სისტემატურად ექმნებათ ჩვენს სპორტსმენებს, მუსიკოსებს და მოქალაქეებს, რომელთაც სწავლის გაგრძელება სურთ ევროპაში“

ჰერბერტ ზალბერმა აღნიშნა, რომ მოცემული საკითხი დგას ჟენევის დისკუსიების დღის წესრიგში, მაგრამ ამ პრობლემის მოგვარებისათვის დროა საჭირო.

23.11.2016 ПРЕЗИДЕНТА http://presidentofabkhazia.org/about/info/news/?ELEMENT_ID=5377

32. „ჟენევის მოლაპარაკებების ძორიგი 38-ე რაუნდი“

13-14 დეკემბერს, ჟენევაში, სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის საკითხებზე დისკუსიების ძორიგი 38-ე რაუნდი გაიმართა.

დე-ფაქტო აფხაზეთის დელეგაციას ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი კან ტანია ხელმძღვანელობდა.

მოლაპარაკებების ძორითადი განსახილველი თემა იყო ერთობლივი განცხადების შემუშავება, რომელიც იქნება მნიშვნელოვანი ნაბიჯი ძალის არ გამოყენების შესახებ იურიდიული შეთანხმების მისაღწევად

დისკუსიების მსვლელობისას დე-ფაქტო აფხაზეთის დელეგაცია შეეხო ისეთ საკითხებს, როგორცაა-„სასიცოცხლო მნიშვნელობის დოკუმენტების (დაბადების მოწმობა, უმაღლესი განათლების დიპლომი და სხვა) არ აღიარება, ევროკავშირის და ეუთოს მიერ, დე-ფაქტო აფხაზეთში ადამიანის უფლებების სფეროში, არსებული მდგომარეობის არაობიექტურად და პოლიტიზირებულად შეფასება, „საბაჰ აბხაზის“ მიერ დე-ფაქტო აფხაზეთზე სტატიით გამოწველი აჟიოტაჟი, საქართველოს მხრიდან დე-ფაქტო აფხაზეთის მოქალაქეების იზოლაციის მცდელობა და ნატო-ს გააქტიურება საქართველოში.“

აგრეთვე, შეხვედრაზე დე-ფაქტო აფხაზეთის დეკლარაციამ მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეებს გადასცეს დიპლომატიური პასპორტების ნიმუშები იმ მიზნით, რომ დაიწყოს საგნობრივი განხილვა ახლადშექმნილი პასპორტების საერთაშორისო სამგზავრო დოკუმენტად ცნობის თაობაზე.

ამ მნიშვნელოვან ჰუმანიტარულ საკითხში დახმარების თხოვნით კან ტანიამ თანათავმჯდომარეებს შესაბამის წერილი გადასცა ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელთან საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში, ფედერიკა მოგერინისთან.

დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით:

„ძალის არ გამოყენების ერთობლივი განცხადების შემუშავებისთვის მზადყოფნა, საქართველოს გარდა, მოლაპარაკებების ყველა მხარემ გამოთქვა და ამის გამო თანათავმჯდომარეების მიერ შემოთავაზებული განცხადების მიღება ისევ ჩაიშალა“

იძულებით გადაადგილებული პირების საკითხებზე მომუშავე მოდერატორებთან სამუშაო შეხვედრის დაწყებისას დე-ფაქტო აფხაზეთის, ე.წ. სამხრეთ ოსეთის და რუსეთის დელეგაციებმა სხდომა, პროტესტის ნიშნად, დატოვეს.

ქენევის მორიგი 39-ე დისკუსიები 2017 წლის 28-29 მარტს გაიმართება.

14.12.2016 МИД РА <http://mfaapsny.org/news/index.php?ID=474>

33. „რუსულ-აფხაზურმა თევზის მრეწველობის კომისის მე-5 სესიამ მუშაობა დაასრულა“

ორმხრივი კომისიის მე-5 სესიაზე განიხილეს რუსეთის ფედერაციის შავი ზღვისპირეთისა და დეფაქტო აფხაზეთის აკვატორიაში თევზის რეწვის სფეროში მდგომარეობა და პერსპექტივები.

აგრეთვე, დღის წესრიგში იყო შავი და აზოვის ზღვების ტრანსაზღვრული სახეობის თევზის, ქაფშიას (ხამსა), მარაგის ერთობლივი გამოყენების საკითხები.

რუსეთის ფედერაციის თევზჭერის ფედერალური სააგენტოს (Росрыболовство) აკვაკულტურის სამმართველოს ხელმძღვანელის, ვიქტორ აშარინის, თქმით: -რადგანაც ქაფშიას ზღვიდან ამოღება მიმდინარეობს ორივე ქვეყნის ტერიტორიულ წყლებში, გაეროს კონვენციის თანახმად, აუცილებელია რაციონალურად მივუდგეთ აღნიშნული სახეობის თევზის რეწვის საკითხს.

სესიის დასრულების შემდეგ ვიქტორ აშარინმა განაცხადა:

„მოლაპარაკებები ძალიან რთულად მიმდინარეობდა. რუსი მეცნიერების აზრით „ხამსას“ ზღვიდან ამოღების მაქსიმუმი 180-190 ტონაა ყველა იმ ქვეყანაზე, რომლის აკვატორიაშიც ქაფშიას რეწვა მიმდინარეობს. აქედან, აფხაზეთის ტერიტორიულ წყლებში შესაძლებელია 30 000 ტონის მოპოვება. აფხაზი მეცნიერები 35 000 ტონას ასახელებდნენ მაშინ, როდესაც აფხაზეთის მთავრობის დაჟინებული მოთხოვნა იყო ეს ციფრი, მეტი ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით, გაზრდილიყო 40 000 ტონამდე“.

ორმხრივი კომისიის მე-5 სხდომა, რომელიც 1-2 ნოემბერს ქ.სოხუმში ჩატარდა, აფხაზურ მხარეს, დეფაქტო აფხაზეთის სოფლის მეურნეობის ე.წ. მინისტრი დაურ თარბა ხელმძღვანელობდა.

03.11.2016СпутникАбхазия<http://sputnikabkhazia.ru/radio/20161103/1019790228/rosrybolovstvo-u-nauki-i-vlasti-abxazii-razn>

34. „გალის რაიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა პრეს კონფერენცია გამართა“

პრეს კონფერენციაზე გალის რაიონის ადმინისტრაციის ე.წ. ხელმძღვანელმა, თემურ ნადარაიამ, გაახმოვანა რიგი წინადადებები, რომლითაც აპირებს მიმართოს დეფაქტო აფხაზეთის მთავრობას. მისი თქმით გალის 17 000 მკვდრისგან მხოლოდ 340 ადამიანია აფხაზეთის მოქალაქე და ამის გამო აუცილებელია მიღებულ იქნას შესაბამისი შესწორება „უცხო ქვეყნის მოქალაქის სტატუსის შესახებ“ დეფაქტო აფხაზეთის რესპუბლიკის კანონში.

აგრეთვე ნადარაიამ აღნიშნა, რომ აუცილებელია საზღვრისპირა 40 სოფლის მკვიდრთა ტერიტორიული საკითხის გადაწყვეტა, რადგანაც მათი კუთვნილი მიწის ნაკვეთების ნაწილი საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება. ამ პრობლემის გადასაწყვეტად ნადარაია გამოდის წინადადებით საბოლოოდ დადგინდეს საზღვარი და ამ კატეგორიის მოქალაქეებს კომპენსაციის სახით მიწის ნაკვეთები დეფაქტო აფხაზეთის ტერიტორიაზე გადაეცეთ.

ე.წ. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი პრეს კონფერენციაზე შეეხო ენგურ ჰესზე მომუშავე საქართველოს მოქალაქეების საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანის საკითხს. მისი თქმით:

„ჩვენი რაიონის ბიუჯეტში პირველად ჩაიდო ენგურ ჰესის მუშაკთა საშემოსავლო გადასახადი და ჩვენ ამის სრული უფლება გვაქვს, რადგანაც წარმოებაზე, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარეობს 600 საქართველოს მოქალაქე მუშაობს, რომლებიც საშემოსავლო გადასახადს არ იხდიან, რომლის რაოდენობაც 3 000 000 რუბლს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ენგურ ჰესის

საკითხის განხილვა 20 წელია მიმდინარეობს ამან არ უნდა იქონიოს გავლენა საგადასახადო პოლიტიკაზე“

პრეს კონფერენციის დასრულებისას თემურ ნადარაიამ გაასაჯაროვა გალის რაიონში ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგები, რომლის შედეგადაც გამოვლინდა 4 სოფელი სადც 400 ჰექტარზე თხილის ნარგავებია და დეფაქტო რესპუბლიკის ბიუჯეტში არანაირ გადასახადს არ იხდიან.

18.10.2016Апсныпресс<http://www.apsnypress.info/news/nadaraya-gotov-proekt-po-sozdaniyu-v-galskom-rayone-osoboy-ekonomicheskoy-zony/ yj-vzglyad-na-kvoty-lova-xamsy.html>

15.12.2016